

დეწნილთა ინტეგრაცია განათლების გზით

კვარტლური
ბიულეტენი


ბამოწვევაში:

პროექტის
შესახებ

პროექტის
მმართველი
კომიტეტის
შექმნა

საინფორმაციო
კამპანიის
წარმართვა და
ინტერესთა
ჯგუფების
იდენტიფიცირება


დეწნილთა
განათლების
ხელშეწყობის
ქსელის შექმნა



IDP integration through education

პროექტი დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ

EPPM



დაიწყო კოალიციური პროექტის „დეწნილთა ინტეგრაცია განათლების გზით“ განხორციელება

პროექტის „დეწნილთა ინტეგრაცია განათლების გზით“ განხორციელება 2007 წლის თებერვალში დაიწყო. მისი სტრატეგიული მიზანი გახლავთ დეწნილი მოსახლეობის გააქტიურება და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვა. პროექტის დანიშნულებაა დეწნილების, დეწნილთა და/ან დეწნილთა განათლების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დეწნილთა სკოლების წარმომადგენელთა ჩართვა სახელმწიფო სტრატეგიის/სამოქმედო გეგმის განათლების კომპონენტის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში.

პროექტის შექმნის წინაპირობა გახლდათ ის მოსაზრება, რომ საზოგადოებაში სრულფასოვანი დამკვიდრებისა და ინტეგრაციისათვის, როგორც ნებისმიერი ადამიანის, მითუმეტეს დეწნილი მოსახლეობისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობას. ასეთი შედეგის მისაღწევად დეწნილი მოსახლეობის სამოქალაქო გააქტიურება აქტუალურია, როგორც დეწნილების მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებამდე, ასევე დაბრუნების შემდეგაც.

პროექტის ხანგრძლივობა არის 18 თვე (2007 წლის თებერვალი - 2008 წლის აგვისტო) და ის ხორციელდება საქართველოს 5 ქალაქში/რეგიონში (თბილისი, ქუთაისი, გორი, ზუგდიდი და კოდორი/ზემო აფხაზეთი).

პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია არის განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (EPPM), ხოლო პარტნიორი ორგანიზაციები არიან: ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი (CTC), ასოციაცია „სკოლა-ოჯახი-საზოგადოება“ (SFSA) და საქართველოს ჰუმანური განვითარების ცენტრი (HDCG). პროექტის ასოცირებული პარტნიორი არის აფხაზეთის ა/რ-ის განათლებისა და კულტურის სამინისტრო. პროექტი ხორციელდება ევროკომისიის ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის დემოკრატიული მართვა

პროექტის წარმატებული განხორციელებისა და მის მიმდინარეობაში დაინტერესებული მხარეების აქტიურად ჩართვის მიზნით შეიქმნა პროექტის მმართველი კომიტეტი, რომელშიც ძირითადად გაერთიანდა პროექტის წამყვანი და პარტნიორი ორგანიზაციები. ასეთი გადაწყვეტილება ასევე ნაკარნახევი იყო პროექტის დემოკრატიული მართვის პრინციპების დამკვიდრების სურვილით.



პროექტის მმართველი კომიტეტის პირველი სამუშაო შეხვედრა და ერთგვარად მისი ფორმალურად დაარსება მოხდა 2007 წლის 10 მარტს. შეხვედრა შედგა განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის ოფისში. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: გიორგი მაჩაბელი (განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი, პროექტის დირექტორი); ალუდა გოგლიჩიძე და თამარ ბრეგვაძე (პროექტის კოორდინატორები); მაცაცო პაპავა (ასოციაცია „სკოლა-ოჯახი-საზოგადოება“); თონა ჯულუხაძე (საქართველოს ჰუმანური განვითარების ცენტრი); მანანა ქვანახია (აფხაზეთის ა/რ-ის განათლებისა და კულტურის სამინისტრო); დამოუკიდებელი კონსულტანტების სახით მიხეილ ჩაჩხუნაშვილი (ფონდი „კორდეტი“) და ლიკა ღლონტი, დამოუკიდებელი ექსპერტი.

აღნიშნულ შეხვედრაზე დეტალურად იქნა განხილული პროექტის პირველ ეტაპზე დაგეგმილი სამუშაოები და პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობის როლი. შეხვედრის დასკვნით ნაწილში გაიმართა დისკუსია პროექტის განხორციელების ეფექტურობის თემაზე.

საინფორმაციო კამპანიის წარმართვა და ინტერესთა ჯგუფების იდენტიფიცირება

იმისათვის, რომ მომხდარიყო დევნილთა გააქტიურება და დევნილთა მიმართ სახელმწიფოს სტრატეგიიდან გამომდინარე სამოქმედო გეგმის განათლების კომპონენტის შემუშავებაში მათი აქტიური ჩართვა, პროექტის ფარგლებში დაიგეგმა დევნილთა განათლების ხელშემწყობი ქსელის შექმნა („ქსელი“). ამ ამოცანის წარმატებით განხორციელების მიზნით პროექტის განხორციელების პირველსავე ეტაპზე დაიგეგმა საზოგადოების ინფორმირების კამპანია, რომლის ფარგლებშიც პროექტის შესახებ ინფორმაცია განთავსდა წამყვანი და პარტნიორი ორგანიზაციის – ჰუმანური განვითარების ცენტრის ვებ გვერდებზე (www.eppm.org.ge, www.hdcg.org.ge), ცენტრალურ (გაზეთი „ახალი განათლება“) და საპროექტო ქალაქების/რეგიონების ადგილობრივ პრესაში განთავსდა საგაზეთო სტატიები, ასევე გამოიცა პროექტის საინფორმაციო ბუკლეტი, რომელიც ძირითადად გავრცელდა მრგვალი მაგიდების საშუალებით. საინფორმაციო კამპანიის წარმართვას უზრუნველყოფდა პარტნიორი ორგანიზაცია „საქართველოს ჰუმანური განვითარების ცენტრი“.



საინფორმაციო კამპანია არ წარმოადგენს ერთჯერად ღონისძიებას და მისი წარმართვა იგეგმება პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე. უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე კვარტლური ბიულეტენი ამ კამპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია და მისი დანიშნულებაა, რომ პროექტის წარმატებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია მისი მიმდინარეობის შესახებ.



ამ კამპანიის ერთ-ერთი მიზანია, რომ პროექტის წარმატებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია მისი მიმდინარეობის შესახებ.

როგორც უკვე აღინიშნა, პროექტის მიზნებისა და ამოცანების ეფექტურად მიღწევისათვის დაგეგმილი დევნილთა განათლების ხელშემწყობი ქსელის სრულფასოვნად ფორმირებისათვის ორგანიზებული საინფორმაციო კამპანიის საშუალებით, უნდა მომხდარიყო ქსელის ფორმირებით დაინტერესებული ჯგუფების იდენტიფიცირება. ამ მნიშვნელოვანი ამოცანის მიღწევისათვის პროექტის განხორციელების პირველსავე ეტაპზე საპროექტო ხუთივე ქალაქში/რეგიონში პარტნიორი ორგანიზაციის „საქართველოს ჰუმანური განვითარების ცენტრის“ მიერ დაიგეგმა და განხორციელდა სამუშაო შეხვედრები და 10 მრგვალი მაგიდა დევნილ მოსახლეობასთან, დევნილთა და დევნილთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დევნილთა სკოლების წარმომადგენლებთან.

ქსელში გაწევრიანების სურვილის დაფიქსირების მიზნით მომზადდა სპეციალური ანკეტა, რომელიც განთავსდა პროექტის საინფორმაციო ბუკლეტში და მრგვალი მაგიდების მონაწილეებს ეძლეოდათ საშუალება მისი შევსებით დაეფიქსირებინათ ქსელში გაწევრიანების საკუთარი ინტერესი. საინფორმაციო ბუკლეტი დაინტერესებულ პიროვნებას თუ ორგანიზაციას

აწვდიდა აუცილებელ ინფორმაციას პროექტის, მისი მიზნების, ამოცანების, განხორციელების გზების შესახებ, ხოლო ანკეტაში ჩამოთვლილი იყო პროექტში მონაწილეობის 6 შესაძლო ალტერნატიული ფორმა, კერძოდ მონაწილეობა: მრგვალ მაგიდებში; დეწნილთა განათლების ხელშეწყობი ქსელში; საკონსულტაციო ცენტრებში; ადგილობრივ ტრენინგებში; სიტუაციური ანალიზის ჯგუფში; ადვოკატირების კამპანიაში.

მრგვალი მაგიდები თბილისში

ქ. თბილისში დეწნილი მოსახლეობისა და დეწნილთა სკოლების სიმრავლის გამო სულ 5 მრგვალი მაგიდა ჩატარდა. პირველი მრგვალი მაგიდა ჩატარდა ვაშლიჯვარში არსებულ დეწნილთა კოლექტიური ცხოვრების ცენტრთან არსებულ აფხაზეთის №2 საჯარო სკოლაში (2007 წლის 11 აპრილი). მეორე მრგვალი მაგიდა გაიმართა თბილისის ზღვაზე არსებულ აფხაზეთის №3 საჯარო სკოლაში (2007 წლის 17 აპრილი). მესამე მრგვალი მაგიდა გაიმართა დაბა წყნეთში არსებულ აფხაზეთის №8 საჯარო სკოლაში (2007 წლის 19 აპრილი). მეოთხე მრგვალი მაგიდა გაიმართა ტექნიკური უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში განათვსებულ დეწნილთა კოლექტიური ცხოვრების ცენტრში (2007 წლის 2 აპრილი). ხოლო მეხუთე მრგვალი მაგიდა ჩატარდა სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში (2007 წლის 4 მაისი). ჰუმანური განვითარების ცენტრს, შეხვედრების ორგანიზებაში როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში დიდი დახმარება გაუწია აფხაზეთის ა/რ-ის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა ქ-მა მანანა ქვაჩახიამ.



მრგვალი მაგიდები გორში/შიდა ქართლში

ქ. გორში მრგვალი მაგიდა 2007 წლის 20 აპრილს ჩატარდა ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში, რომელსაც ძირითადად პედაგოგები, სტუდენტები და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წევრები დაესწრნენ. შეხვედრას ოცდაათამდე მონაწილე ესწრებოდა. შეხვედრის ორგანიზებაში ჰუმანური განვითარების ცენტრს დახმარება გაუწია საქართველოს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს შიდა ქართლის რეგიონალური დეპარტამენტის წარმომადგენელმა ქ-მა მანანა ჭამპურიძემ.

მრგვალი მაგიდები ზუგდიდში/სამეგრელო

ქ. ზუგდიდში 2007 წლის 25 აპრილს ორგანიზება გაუკეთდა ორ მრგვალ მაგიდას. აქედან ერთი ჩატარდა აფხაზეთის №11-ე საჯარო სკოლაში, ხოლო მეორე აფხაზეთის №12 საჯარო სკოლაში. შეხვედრებს ესწრებოდნენ დეწნილთა სკოლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და გალის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. შეხვედრები გააშუქა რადიო „ათინათი“-სა და ტელეკომპანია „ოდიში“-ს ჟურნალისტებმა. მრგვალ მაგიდებზე გამოიხატა სურვილი, რომ აღნიშნულ პროექტში აქტიურად იყვნენ ჩართული გალის რაიონის სკოლების წარმომადგენლები.

მრგვალი მაგიდა კოლორში/ზემო აფხაზეთი

მრგვალი მაგიდა კოლორში/ზემო აფხაზეთში გენწვიშისა და აჟარის საჯარო სკოლებში 2007 წლის 26 აპრილს ჩატარდა. აღნიშნული ღონისძიების ჩატარება შესაძლებელი გახდა იმერეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ბ-ნ ოთარ კუხალაშვილის აქტიური მხარდაჭერით.

მრგვალი მაგიდა ქუთაისში/იმერეთი

ქ. ქუთაისში მრგვალი მაგიდა 2007 წლის 27 აპრილს ჩატარდა აფხაზეთის ა/რ-ის №5-ე საჯარო სკოლის შენობაში. ქუთაისში ასევე შეხვედრა შედგა ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რომელმაც დიდი ინტერესი გამოხატეს პროექტის მიმართ.

აღნიშნულ შეხვედრებში ძირითადად მონაწილეობდნენ დევნილთა სკოლების პედაგოგები და ადმინისტრაციის წევრები; კოლექტიური ცხოვრების ცენტრებში მცხოვრები დევნილები; დევნილებისა და დევნილთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ყველა ზემოთ ხსენებული მრგვალი მაგიდა წარიმართა მსგავსი დღის წესრიგით, რომელიც 2 ეტაპისაგან შედგებოდა. პირველ ეტაპზე ხდებოდა დევნილთა სახელმწიფო სტრატეგიის გაცნობა და განხილვა, პროექტის ძირითადი მიზნების პრეზენტაცია და მონაწილეთა ინფორმირება დევნილთა განათლების ხელშემწყობ ქსელში ჩართვის პროცედურის შესახებ.

მრგვალი მაგიდის მეორე ეტაპზე მიმდინარეობდა დისკუსია. აღნიშნულ შეხვედრებზე გარკვეულ გაუგებრობას და ერთგვარ კრიტიკას იწვევდა ტერმინი „ინტეგრაცია“, მონაწილეებს აინტერესებდათ თუ რა იგულისხმებოდა ამ ტერმინის უკან, როგორც სახელმწიფო სტრატეგიის, ასევე პროექტის ფარგლებში. გამოთქმულ იქნა მოსაზრებები, რომ თუ ინტეგრაცია ემსახურება დევნილ მოსახლეობაში მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების სურვილის დაკარგვას, ისინი ასეთი პროცესის მიმართ მკაფიოდ ნეგატიურ პოზიციას გამოხატავდნენ. ამავე კონტექსტში უარყოფითი დამოკიდებულება გამოიხატებოდა სტრატეგიაში დაფიქსირებულ პოზიციაზე დევნილთა სკოლების დახურვის შესახებ. დევნილთა უმეტესობა გამოხატავდა ვარაუდს და ამავედროულად შიშს, რომ ჩვეულებრივ სკოლებში მოსწავლე დევნილ ბავშვებს არ გააჩნიათ აფხაზეთში დაბრუნების სათანადო ემოციური მუხტი, ხოლო დევნილთა სკოლებში ასეთი მუხტი მეტად არის გამოკვეთილი. მეორეს მხრივ აღინიშნა, რომ დევნილთა სკოლებში სწავლების პროცესში დაბრუნების თემაზე „გადაჭარბებული“ აქცენტრება ერთის მხრივ ხელს უშლის ბავშვებისათვის სათანადო ხარისხის განათლების მიცემას, ხოლო მეორეს მხრივ მოზარდებში ბადებს გარკვეულ კომპლექსებს და ხელს უშლის საზოგადოებაში მათ სრულფასოვან ინტეგრირებას.

მრგვალი მაგიდების დასასრულს ძირითადად გამოიხატებოდა ინტერსი პროექტის მიმართ და მასში მონაწილეობის სურვილი. საბოლოო ჯამში მრგვალი მაგიდების შედეგად დევნილთა განათლების ხელშემწყობ ქსელში ჩართვის სურვილი დაახლოებით 300-მდე პიროვნებამ თუ ორგანიზაციამ გამოხატა.

დევნილთა განათლების ხელშემწყობი ქსელის შექმნა

სამუშაო შეხვედრებისა და მრგვალი მაგიდების ორგანიზების შედეგად მოხდა დევნილთა განათლების ხელშემწყობი ქსელის შექმნით დაინტერესებული პირების/ჯგუფების იდენტიფიცირება. ქსელის ფორმირების, მისი განვითარების სტრატეგიისა და ერთგვარი სამოქმედო გეგმის შექმნის მიზნით ქსელში გაწევრიანების მსურველთაგან შეირჩა ე.წ. ოცდაათკაციანი საინიციატივო ჯგუფი. მათი შერჩევის მთავარი კრიტერიუმი გახლდათ მკაფიოდ გამოკვეთილი მოტივი და მზაობა. იმისათვის, რომ საინიციატივო ჯგუფს ეფექტურად ემუშავა და განესაზღვრა ქსელის სამომავლო სტრატეგია 2007 წლის 11-13 მაისს დაინიშნა ტრენინგი ქ. თბილისში, რომელსაც პროექტის ერთ-ერთი პარტნიორი ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი (CTC) უმასპინძლებდა.

კოალიციური პროექტი „დევნილთა ინტეგრაცია განათლების გზით“ დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ

პროექტის წამყვანი ორგანიზაცია: განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (EPPM)

ბარნოვის ქ. №56
თბილისი 0109

ტელ.: +995 (32) 914933
ფაქსი: +995 (32) 914933

ელ. ფოსტა: eppm@eppm.org.ge
ვებ გვერდი: www.eppm.org.ge